ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (486) მარტი 1986 წელი

343

განყოფილება პირველი

54. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1985 წელს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

55. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აჭარის ასს რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების მისამართით გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

56. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამეთვალყურეო კომისიების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

58. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

განყოფილება მეორე

59. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ა. ზატუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საქ. სსრ ა. ზარქუას სახ. სახ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

60. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ვ. კირვალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. კოსოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ტ. გაფრინდაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ნ. სუმბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მიტროპოლიტ დავითის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ს. იოფეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

68. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გოდერძის უღელტეხილის გავლით მესტია-უშგულის, ბათუმი-ახალციხის, ჯვრის უღელტეხილის გავლით თბილისი-ორჯონიკიძის, ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

69. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

70. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ა. ბერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

71. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. მ. ჩიკვაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

72. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ზ. ჯორჯაძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

73. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ვ. ლუხუტაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გოდერძის უღელტეხილის გავლით მესტია-უშგულის, ბათუმი-ახალციხის, ჯვრის უღელტეხილის გავლით თბილისი-ორჯონიკიძის, ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

54 1985 წელს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „1985 წელს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“, აღნიშნავს, რომ გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა მიმართული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად მშრომელთა ფართო მასების დარაზმვისათვის.

ადგილობრივი საბჭოების აღნიშნული მუშაობის 1985 წლის შედეგები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ საბჭოებისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება მათი როლი ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში, მართვისა და მეურნეობრიობის დონის შემდგომი ამაღლების ამოცანათა გადაწყვეტაში.

ადგილობრივი საბჭოები სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ სასესიო საქმიანობის სრულყოფას; გაუმჯობესდა სესიების მომზადებისა და ჩატარების, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის პრაქტიკა. შარშან სესიებზე განიხილეს 13.665 საკითხი. სესიებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღო დეპუტატთა საერთო რიცხვის 58,9 პროცენტმა.

აღსანიშნავია, რომ საბჭოები მეტ მზრუნველობას იჩენდნენ რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფის, XI ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სრულყოფისათვის.

გაძლიერდა ადგილობრივი საბჭოების კონტროლი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი. სესიებს ანგარიში ჩააბარა საბჭოების ყველა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ორგანიზაცია, რის შედეგად ბევრ რეგიონში გადაწყდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში ფართოვდება მუშაობის დემოკრატიული ფორმები და მეთოდები, შემდგომი განვითარება პოვა საჯაროობამ. 1985 წელს მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა ყველა აღმასკომმა, ხოლო რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების განყოფილებებისა და სამმართველოების 97 პროცენტმა.

გააქტიურდა მუდმივი კომისიების საქმიანობა, მათი მონაწილეობა სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში; ფართოვდება სესიების წინაშე მუდმივი კომისიების ანგარიშგების პრაქტიკა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან დეპუტატთა ჯგუფები, მიკრორაიონთა საბჭოები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოები.

ამაღლდა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა საქმიანობის დონე საარჩევნო ოლქებსა და შრომითს კოლექტივებში. კიდევ უფრო დაიხვეწა ამომრჩევლებთან დეპუტატთა შეხვედრის ერთიანი დღისა და ერთიანი კვირის ჩატარების ორგანიზაცია.

რამდენადმე გაუმჯობესდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა მთელ რიგ ადგილობრივ საბჭოებში კვლავ დაბალია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ეფექტიანობა, შეინიშნება ფორმალიზმი და ზერელობა. ბევრი ადგილობრივი საბჭო არ იჩენს მომთხოვნელობას ანგარიშვალდებული ორგანოებისადმი, ჯეროვნად არ იბრძვის პარტიის პოლიტიკის განუხრელად გატარების, პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის.

ზოგიერთმა რეგიონმა ვერ დასძლია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დავალებათა XI ხუთწლედის მიჯნა; ჯერ კიდევ დაბალია სახელმწიფო, ფინანსური და შრომის დისციპლინის დონე; არ სრულდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების დავალებები, სახელშეკრულებო ვალდებულებები და მიწოდების გეგმები. ადგილი აქვს თვალის ახვევისა და მიწერების ფაქტებს.

მეტად დამაფიქრებელია საბინაო მშენებლობის ხარისხი და კომუნალური მეურნეობის განვითარების ტემპი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სატრანსპორტო მომსახურების მდგომარეობა. სერიოზული ნაკლოვანებები შეინიშნება განათლების, კულტურის და სოციალურ დაწესებულებათა საქმია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობაში; ადგილი აქვს მშრომელთა კანონიერი მოთხოვნებისადმი უყურადღებობის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევების შემთხვევებს.

ბევრ რაიონსა და ქალაქში სრულიად არასაკმარისია საბჭოების მუშაობა მართლწესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის; ჯერ კიდევ სუსტია მუქთახორობის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ცალკეულ ადგილობრივ საბჭოებში არ შეიმჩნევა ყოველდღიური ზრუნვა დეპუტატების, დეპუტატთა და საზოგადოებრივი ფორმირებების ინიციატივისა და აქტიურობის შემდგომი ამაღლებისათვის, ზოგიერთი საბჭოს საქმიანობაში ირღვევა საჯაროობისა და დემოკრატიზმის პრინციპები.

საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ბათუმისა და ყვარლის საქალაქო, მესტიის, საჩხერის, ონის, ცაგერის, სიღნაღის, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის, ოქტომბრის რაიონული საბჭოების ცალკეულ მუდმივ კომისიებს.

ახალქალაქის, ახმეტის, დმანისის, თეთრი წყაროს, ქარელის საქალაქო, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის რაიონული და მრავალი სადაბო და სასოფლო საბჭო სესიებზე საერთოდ არ მიმართავს კონტროლის ისეთ ეფექტიან ფორმას, როგორიცაა დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება.

შემდგომ სრულყოფას საჭიროებს საბჭოთა კადრებისა და საბჭოების შტატგარეშე აქტივის სწავლების ორგანიზაცია, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, სოფლის ყრილობებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებების ჩატარების პრაქტიკა, მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— მთელი თავიანთი ორგანიზატორული საქმიანობა დაუქვემდებარონ სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პოლიტიკური კურსისა და ეკონომიკური სტრატეგიის ცხოვრებაში განუხრელად გატარებას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უცილობლივ შესრეულებას; დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ძირეული გარდაქმნისათვის, საბჭოების საქმიანობის ყველა მხარეზე მისი გავლენის გაძლიერებისათვის, დაგეგმვის, მართვის მექანიზმისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარებისათვის მასების დასარაზმავად, საბჭოთა აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულყოფისათვის; მიაღწიონ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში საქმიანი ატმოსფეროს დამკვიდრებას, ფორმალიზმისა და ზერელობის დაძლევას;

— სრულად გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით მინიჭებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უფლებები თავიანთ ტერიტორიებზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების, მათი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შრომითს კოლექტივებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის ამაღლებას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სამართალდარღვევებთან, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერებას;

— მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა ყველა საფეხურის საბჭოების საქმიანობაში უფრო სრულად ხორციელდებოდეს მუშაობის დემოკრატიული პრინციპები; საკითხთა კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, დეპუტატთა და აღმასკომების დარგობრივი აპარატის რეგულარული ანგარიშგება, კონტროლი აღმასრულებელი და სხვა ორგანოების მუშაობისადმი, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში;

— შემდგომ აამაღლონ სესიების ორგანიზატორული და საკონტროლო როლი; მიაღწიონ იმას, რომ სესიების მუშაობა უფრო მეტად უწყობდეს ხელს ადგილებზე საზოგადოებრივი, სამეურნეო, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში საქმის ნამდვილი ვითარების ასახვას, განსახილველ საკითხთა ირგვლივ პირუთვნელ მსჯელობას, არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის მიზანმიმართული და ქმედითი ღონისძიებების შემუშავებას, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის მკაფიო ორგანიზაციას;

— თანამიმდევრულად აამაღლონ მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის დონე, უზრუნველყონ მათი მონაწილეობა კანონთა შესრულების კონტროლის საქმეში, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისა და საბჭოების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციაში; ფართოდ მიიზიდონ ისინი სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განსახილველ საკითხთა მომზადებაში;

— ყოველნაირად შეუწყონ ხელი საარჩევნო ოლქებსა და შრომითს კოლექტივებში დეპუტატთა საქმიანობის გააქტიურებას; მათი პასუხისმგებლობისა და ინიციატივის ამაღლებას, განაწესების შესრულების კონტროლისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებას; სრულყონ დეპუტატთა სამართლებრივი სწავლება, უფრო ფართოდ დანერგონ შეკითხვის წესით დეპუტატთა მიერ საკითხების დაყენების პრაქტიკა;

— უფრო ფართოდ ჩააბან საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში შტატგარეშე აქტივი და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მიკრორაიონთა საბჭოების მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ დახვეწას; ყურადღებით შეისწავლონ საზოგადოებრივი აზრი, გაითვალისწინონ იგი თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში, სისტემატურად სრულყონ სოფლის ყრილობებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებების ჩატარების პრაქტიკა; მიაღწიონ, რომ ისინი ხელს უწყობდნენ საბჭოების საქმიანობის სრულყოფას; მათი მასებთან კავშირის განმტკიცებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას;

— უზრუნველყონ შემოსულ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირებისა და მშრომელთა წერილებსა და მიმართვებზე მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება;

— განახორციელონ საჭირო ზომები საბჭოთა კადრებისა და საბჭოთა აქტივის სწავლების ორგანიზაციისა და ეფექტიანობის სრულყოფისათვის, მკვეთრად აამაღლონ სემინარ-ლექტორიუმებისა და დეპუტატთა სკოლების მუშაობის დონე და შინაარსი; უზრუნველყონ საბჭოთა კადრებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება, მათი აღზრდა მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობისა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

2. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „1985 წელს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“ დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ სისტემატურად გააანალიზოს ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის პრაქტიკა და წინადადებანი მისი სრულყოფის თაობაზე პერიოდულად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 13 მარტი.

№ 637—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

55 აჭარის ასს რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების მისამართით გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. დ. დ. ღიასამიძის ინფორმაცია „აჭარის ასს რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების მისამართით გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებასა და ყრილობის რეზოლუციაში ჩამოყალიბებული ამოცანებითა და მოთხოვნებით; გააქტიურონ მუშაობა რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებების რეალიზაციისათვის.

3. დაევალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ყურადღებით გააანალიზონ შესაბამის პარტიულ კონფერენციებზე სახალხო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე შემოსული წინადადებანი და გამოთქმული შენიშვნები და შეიმუშაონ მათი პრაქტიკული შესრულების ორგანიზაციის ზუსტი პროგრამა; ყველა საფეხურის საბჭოების მთელი ორგანიზატორული მუშაობა დაუქვემდებარონ თავიანთ ტერიტორიაზე სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარებისათვის მშრომელთა დარაზმვას, საბჭოების როლის ამაღლებას ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომლებიც ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, ადამიანების მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილებას, კანონების უმკაცრეს დაცვას, მოქალაქეთა უფლებებისა და გარანტიების განმტკიცებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 13 მარტი.

№ 634—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

56 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ჩერქეზია ოთარ ევტიხის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

გუმბარიძე გივი გრიგოლის ძე—საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე.

კომისიის მდივანი

საყვარელიძე ირაკლი მიხეილის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მისაღების გამგე.

კომისიის წევრები:

გაბიანი ანზორ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე.

გამრეკელი ია ბორისის ძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

გორგოძე შოთა ვარლამის ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

გოგეშვილი თენგიზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე.

გრიგოლავა ვლადიმერ ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჯიბაძე ოლეგ იონას ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ვასაძე ნათელა შალვას ასული — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

ზურაბაშვილი ავლიპი დავითის ძე—აკადემიკოსი, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორი.

კარანაძე აკაკი გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

კვანტალიანი გივი შალვას ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

კონცელიძე რესან ჰასანის ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ლეჟავა გელა გიორგის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

ლორთქიფანიძე ვაჟა გიორგის ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

მაისურაძე ნოდარ შალვას ძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მამარდაშვილი აბელ ფრიდონის ძე — რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

მოვსესიანი ალექსანდრე ოგანეზის ძე — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

ნანეიშვილი ბიძინა რაჟდენის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ფსიქიატრი.

რიგვავა სერგო ტარასის ძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

სანებლიძე არმაზ რომანოზის ძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

შავგულიძე თამაზ გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

შავიშვილი კიტა ნიკოლოზის ძე — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

შარაშენიძე ვიქტორ აბიბოს ძე — საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე.

შუშანაშვილი ალექსანდრე ამირანის ძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

ჩხეიძე პეტრე პეტრეს ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის სიქალაქო კომიტეტის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხიკვიშვილი დავით იოსების ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 მარტი.
№ 642—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

57 სამეთვალყურეო კომისიების დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებულ სამეთვალყურეო კომისიების დებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლში და ამ მუხლის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სამეთვალყურეო კომისიები მოქმედებენ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე (შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და არანაკლებ ოთხი წევრისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 მარტი.
№ 641—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

58 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ამხ. ამხ. არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე შოთას ძე **იოსელიანი** — საქინფორმის დირექტორი დამტკიცებულ იქნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრებად.

ამხ. ამხ. ნუგზარ აკაკის ძე **ფოფხაძე** და მიხეილ დანიელის ძე **დავითაშვილი** გამოყვანილ იქნენ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 24 მარტი.

№ 649—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

59 ამხ. ბ. ა. ზატუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ბოგდან ანტონის ძე **ზატუაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 7 მარტი.

№ 633—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

60 ამხ. ვ. ვ. კირვალიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი აქტიური მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების კადრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღრიცხვისა და გადამზადების სექტორის სტატისტიკოს-აღმრიცხველი ამხ. ვენერა ვარდენის ასული **კირვალიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 20 მარტი.
№ 646—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

61 ამხ. გ. დ. კოსოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი დიმიტრის ძე **კოსოვსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 20 მარტი.
№ 645—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

62 ამხ. თ. ტ. გაფრინდაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საპროექტო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ინსტიტუტ „კავკასმრეწვსოფლმშენპროექტის“ დირექტორი ამხ. თამაზ ტერენტის ძე **გაფრინდაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 653—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

63 ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის სახალხო განათლების განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 651—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

64 ამხ. ვ. ნ. სუმბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების უფროსი ამხ. ვახტანგ ნიკოლოზის ძე **სუმბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 652—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

65 ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბუღეო მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით ამხ. იოსებ ივანეს ძე **ჩოდ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 343

რიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 654—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

66 მიტროპოლიტ დავითის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშვიდობის დასაცავად აქტიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით **მიტროპოლიტი** **დავითი (გრიგოლ ივანეს ძე ჭკადუა)** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** **საპატიო** **სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის **მდივანი** **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 27 მარტი.
№ 661—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

67 ამხ. მ. ს. იოფეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ამხ. მიხეილ სიმონის ძე **იოფე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ **უმაღლესი** საბჭოს პრეზიდიუმის **თავმჯდომარე** **პ. ბილაშვილი.**
საქართველოს **სსრ** **უმაღლესი** **საბჭოს** **პრეზიდიუმის** **მდივანი** **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1986 წლის 27 მარტი.
№ 659—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

68 **გოდერძის უღელტეხილის გავლით მესტია-უშგულის, ბათუმი-ახალციხის, ჯვრის უღელტეხილის გავლით თბილისი-ორჯონიკიძის, ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

გოდერძის უღელტეხილის გავლით მესტია-უშგულის, ბათუმი-ახალციხის, ჯვრის უღელტეხილის გავლით თბილისი-ორჯონიკიძის საავტომობილო გზების უბნებისა და ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზის პირველი რიგის წარმატებით საექსპლუატაციო გადაცემისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ბაჯაძე გურამ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 12 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მბურღავი.

გიორგაძე ნოდარ მოსეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბათუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს გენერალური დირექტორი.

დარცმელია ივანე აკაკის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გაგრის სატვირთო ავტოსაწარმოს მძღოლი.

კაკაშვილი ივანე დავითის ძე — ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

კიკაჩეიშვილი ტიტე სამსონის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო-სარემონტო სამშენებლო ტრესტის მმართველი.

კახიძე ფარნაოზ პეტრეს ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე.

კრავეიშვილი ლევან გიორგის ძე — თბილისის საავტომობილო გზების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.

ოთხვანი ნოდარ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 5 საგზაო-სარემონტო სამშენებლო უბნის ბულდოზერის მემანქანე.

რობიტაშვილი გიორგი ვლადიმერის ძე — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების ყოფილი მინისტრი.

შაიშმელაშვილი თამაზ მიხეილის ძე— საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი.

ციგრიაშვილი შოთა გრიგოლის ძე — საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის“ სამშენებლო სამმართველო „ინჟმშენის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუციშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — № 39 ხიდმშენი რაზმის ამწეს მემანქანე.

ჯანგიძე ჯემალ თევდორეს ძე — თბილისის საავტომობილო გზების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 31 მარტი.
№ 663—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

69 „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ:

ავაზაშვილს ილია მიხეილის ძეს — საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დოცენტს.

მამრიკიშვილს გიორგი კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტს.

შეყილაძეს ალექსანდრე ვასილის ძეს — საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

ჩხენკელს კარლო კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 658—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

70 ამხ. კ. ა. ბერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თესლეულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სანერგე მასალების ხარისხის რესპუბლიკური სახელმწიფო ინსპექციის უფროსს ამხ. კუკური აპოლონის ძე **ბერიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 655—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

71 ამხ. ბ. მ. ჩიკვაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბორის მეირის ძე **ჩიკვაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 656—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

72 ამხ. მ. ზ. ჯორჯაძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმეურნქიმიის“ **კრწანისის** ფილიალის დირექტორს ამხ. მიხეილ ზაქარიას ძე **ჯორჯაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 26 მარტი.
№ 657—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

73 ამხ. ნ. ვ. ლუხუტაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში, პარტიულ ორგანოებსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საშენ მასალათა მრეწველობისა და სატყეო მრეწველობის განყოფილების უფროსს ამხ. ნოდარ ვარლამის ძე **ლუხუტაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1986 წლის 27 მარტი.
№ 660—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

74 გოდერძის უღელტეხილის გავლით მესტია-უშგულის, ბათუმი-ახალციხის, ჯვრის უღელტეხილის გავლით თბილისი-ორჯონიკიძის, ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის საავტომობილო გზების ქსელის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და გოდერძის უღელტეხილის გავლით მესტია-უშგულის, ბათუმი-ახალციხის, ჯვრის უღელტეხილის გავლით თბილისი-ორჯონიკიძის საავტომობილო გზების უბნებისა და ქ. გაგრის შემოვლით საავტომობილო გზის პირველი რიგის წარმატებით საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

აბაშმაძეს ლამარა ნოეს ასულს — კავკასიის სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის მეტროსა და გვირაბების განყოფილების პროექტის მთავარ ინჟინერს.

გუბელაძეს გურამ იასონის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კომბინატ „გვირაბხიდმშენინდუსტრიის“ უფროსს.

მაჩიტაძეს შალვა ისიდორეს ძეს — თბილისის საავტომობილო გზების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის საგზაო განყოფილების პროექტის მთავარ ინჟინერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარალიძეს ოთარ ბაგრატის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო-სარემონტო სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინერს.

შილაკაძეს თამაზ ანდრიას ძეს — საქართველოს სახელმწიფო გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნიკური კომპლექსური ინსტიტუტის — „საქსახორგგზასამკვლევის" გენერალურ დირექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი"

აბულაძეს ამირან ოთარის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 7 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირს.

აბრამიშვილს ვლადიმერ იასონის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კომბინატ „გვირაბხიდმშენინდუსტრიის" მემონტაჟეს.

ბოროვსკის ვასილ ივანეს ძეს — საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" გაგრის ობიექტის № 3 უბნის გვირაბგამყვანს.

ფარულავას ინდიკო გრიგოლის ძეს — საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" გაგრის მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსს.

ქობალიას ბონდო არტემის ძეს — საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" მშენებლობის მექანიზაციის სამმართველოს გაგრის უბნის ბულდოზერის მემანქანეს.

ღვინიაშვილს ლერი ვასილის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ხიდსარემონტო სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეს.

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი"

ბერიძეს ალექსანდრე ისმაილის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 7 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მძღოლს.

ემუხვარს გურამ შოთას ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორს.

პრიმენკოს მიხეილ კუზმას ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 3 საგზაო-სარემონტო სამშენებლო უბნის მძღოლს.

სალბიშვილს ვიქტორ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მცხეთის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხეიძეს ალექსანდრე პეტრეს ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სატვირთო გადაზიდვების სამმართველოს უფროსს.

წულუკიძეს ოთარ აბესალომის ძეს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 1 საგზაო-სარემონტო სამშენებლო ტრესტის მთავარ მექანიკოსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"

ლიხოდედოვას როზა ივანეს ასულს — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 3 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მთავარ ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1986 წლის 28 მარტი.
№ 664—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

1986 წლის 13 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა საკითხები: 1985 წელს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სახელზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული მოქალაქეთა წერილებისა და განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის თაობაზე, აჭარის ასს რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე სახალხო დეპუტატთა საბჭოების მისამართით გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სს რესპუბლკაში ეკონომიკური ექსპერიმენტების მიმდინარეობის თაობაზე და სხვ.